ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტუქტურის კომისიის

სხდომა ოქმი N 13

დ. ლენტეხი 11.09. 2026 წ.

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს 10 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტუქტურის კომისიის სხდომა N 13. სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი; წევრები: მურმან ტვილდიანი, ირაკლი ქურასბედიანი, ხუტა მუკბანიანი; მოწვეული სტუმრები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან ლიპარტელიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი; მოწვეული სპეციალისტი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში - ამირან ლიპარტელიანი; საკრებულოს ქონების მართვის და და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დათო ფურელიანი, კომისიის სხდომის მდივანი ნანი ბენდელიანი.

საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომას წარუდგინა დღის წესრიგი შემდეგი საკითხით :

1. მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსის ბაჩუკი გაზდელიანის ინფორმაცია - ლენტეხის მუნიციპალიტეტის დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ჯიხურების ადგილზე თანამედროვე ტიპის შენობების აშენების შესახებ.

შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

მოისმინეს: მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსის ბაჩუკი გაზდელიანის ინფორმაცია - ლენტეხის მუნიციპალიტეტის დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ჯიხურების ადგილზე თანამედროვე ტიპის შენობების აშენების შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 20 წელია განთავსებულია სავაჭრო ჯიხურები, რომლებიც ეკუთვნის კერძო პირებს, ჯიხურები არის ფიცრული, სიძველისგან დეფორმირებული

სრულიად აუშნოებს  მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს. მიწა, რომელზედაც ეს ჯიხურებია განთავსებული არის მუნიციპალურ საკუთრებაში. მერიას გაკეთებული აქვს პროექტი ძველი ჯიხურების ადგილზე  ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ობიექტის მშენებლობისთვის,  2025 წლის განმავლობაში  სისტემატიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ჯიხურების მეპატრონეებთან, მაგრამ ვერ მოხერხდა შეთანხმება ტერიტორიის განკარგვასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მერიისა და საკრებულოს წარმომადგნელებთა ერთად, ჯიხურების მეპატრონეებთან მოლაპარაკებების განახლება.

იმსჯელეს: მოწვეულმა სპეციალისტმა სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში - ამირან ლიპარტელიანმა გამოთქვა აზრი, რომ ვინაიდან ჯიხურების მფლობელები ერთმანეთში ვერ რიგდებიან, საჭიროა განახლდეს მოლაპარაკებები მერიასა და ჯიხურების მფლობელებს შორის,  მიეცეთ მათ გარკვეული დრო მორიგდნენ  ერთმანეთში მერიის მიერ  წარდგენილ პირობებზე, თუ არა და მერია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საკითხის ირგვლივ  ირაკლი ქურასბედიანმა ისაუბრა, რომ რამოდენიმე წლის წინ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჯიხურის მფლობელებს შესთავაზა სახელმწიფოს მიერ  თანამედროვე ტიპის ჯიხურების აშენება  და  მათთვის იჯარით 49 წლით გადაცემა,  მაგრამ ამაზე ერთ-ერთი მფლობელი წავიდა სასტიკი წინააღმდეგი.

მერის მოადგილემ ლევან ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამასთან დაკავშირებით განიხილა ყველა ვარიანტი, მაგრამ საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

კომისიის წევრმა ხუტა მუკბანიანმა წამოაყენა წინადადება, რომ გაუკეთდეს ორგანიზება მერიის მხრიდან - შედგეს მოლაპარაკება ჯიხურების მფლობელებთან, ხოლო შემდეგ გვიჩვენებს საქმე რა უნდა გავაკეთოთ.

გადაწყვიტეს: 1.ინფორმაცია -  ლენტეხის მუნიციპალიტეტის დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ჯიხურების ადგილზე  თანამედროვე ტიპის შენობების აშენების შესახებ ცნობად იქნას მიღებული.

2. ზემოთ აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

3. ეთხოვოს მერიას, მათი და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, უზრუნველყოს აღნიშნულ ობიექტზე მოვაჭრე ჯიხურის მფლობელებთან შეხვედრები, შენობის პროექტის პრეზენტაცია, პირობების უფრო მკვეთრად გაცნობა.

4. კონტროლი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ირაკლი ქურასბედიანს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტუქტურის კომისიის

სხდომის თავმჯდომარე: /მ. ლიპარტელიანი/